

**შეთანხება „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის
„სარფი-სარფ“ და „კარწახი-ჩილდირ/აკტაშ“ და „ახალციხე-პოსოფი/თურქგოზუ“
სახმელეთო საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი გამოყენების შესახებ“**

საქართველოს მთავრობა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში „ხელშემკვრელ მხარეებად“ წოდებულნი;

როგორც 1994 წლის 13 იანვრის „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საქმეში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების მონაწილე ხელშემკვრელი მხარეები;

ითვალისწინებენ რა 2010 წლის 11 ივნისს სტამბოლში ხელმოწერილ „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების ერთობლივი გამოყენების შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმს;

ითვალისწინებენ რა თანამშრომლობის გაუმჯობესებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების პრინციპებს;

მიზნად ისახავენ რა საზღვრის გადაკვეთისა და საბაჟო პროცედურების ხელშეწყობას დუბლირების თავიდან არიდების მეშვეობით;

სურთ რა „სარფი - სარფ“, „კარწახი - ჩილდირ/აკტაშ“ და „ახალციხე - პოსოფი/თურქგოზუ“ სახმელეთო საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი გამოყენების განხორციელება;

მიაღწიეს ურთიერთშეთანხმებას შემდეგზე:

შეთანხმების მიზანი და სფერო

1 მუხლი

ხელშემკვრელმა მხარეებმა ამ შეთანხმების დებულებების თანახმად უნდა უზრუნველყონ „სარფი - სარფ“, „კარწახი - ჩილდირ/აკტაშ“ და „ახალციხე - პოსოფი/თურქგოზუ“ სახმელეთო საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ერთობლივი მომსახურების განხორციელება მგზავრების, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის საერთაშორისო გადაადგილების ხელშეწყობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

განსაზღვრებები

2 მუხლი – ამ შეთანხმების თანახმად:

- a. „შეთანხმება საბაჟო საქმეში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ“ – 1994 წლის 13



- იანვრის “საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საქმეში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ” შეთანხმება;
- b. „შეთანხმება“ – ეს შეთანხმება და ცვლილებები, დანართები და დამატებითი ოქმები;
 - c. „ხელშემკვრელ მხარეთა უფლებამოსილი ორგანოები“ – საქართველოს მხრიდან: ფინანსთა სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან: პრემიერ მინისტრის სამდივნო საბაჟო საკითხებში და შინაგან საქმეთა სამინისტრო;
 - d. „ერთობლივი გამოყენება“ – მგზავრების, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული, ამ შეთანხმების მიხედვით განხორციელებული, ოფიციალური პროცედურების გამარტივება, ჰარმონიზება და ორმხრივი აღიარება;
 - e. „უცხოელი“ – პირი, რომელიც არ არის დაკავშირებული იმ სახელმწიფოსთან მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობით, რომლის ტერიტორიაზეც იგი იმყოფება;
 - f. „ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქე“ – პირი, რომელიც დაკავშირებულია ერთ-ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობით;
 - g. „მგზავრი, რომელსაც უარი ეთქვა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე“ – მგზავრი, რომლის მიმართ არსებობს შემოსვლაზე უარის თქმის შესაბამისი გარემოებები, ან მგზავრი, რომელსაც შემოსვლაზე უარი ეთქვა და უკან დაბრუნებულ იქნა ერთი ან რამდენიმე ისეთი მიზეზის გამო, როგორცაა ძალაში მყოფი დოკუმენტების არქონა, ან დოკუმენტების გაყალბება და განადგურება;
 - h. „შეზღუდვა“ – ეროვნული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც კრძალავს მისი მოქალაქეების გასვლას ან უცხოელების მის ქვეყანაში შესვლას ან მისი ქვეყნიდან გასვლას.

საბაჟო გამშვებ პუნქტებს შორის პროცედურების მართვის პრინციპები

3 მუხლი

(1) მგზავრის, საავტომობილო ტრანსპორტისა და საქონლის შესახებ დეკლარაციები ივსება მხოლოდ გასვლის ქვეყანაში, ხოლო შესვლის ქვეყანა ამ დეკლარაციას იღებს საფუძვლად.

(2) დეკლარაციის შემოწმებასა და სისწორის დადასტურებასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურა ხორციელდება მხოლოდ შესვლის ქვეყანაში. შესვლის ქვეყანა იტოვებს უფლებას განახორციელოს საქონელთან მიმართებით შესწავლა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, რეგულაციებისა და მე-4 მუხლით გათვალისწინებული ოქმების შესაბამისად.

(3) გასვლის ქვეყნის სასაზღვრო საბაჟო პუნქტში წარდგენილი საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის შესახებ ზოგადი ინფორმაცია ელექტრონულად იგზავნება შესვლის ქვეყანაში, სადაც დასტურდება მისი ავთენტიკურობა.

(4) გასვლის ქვეყანა ახორციელებს მხოლოდ იმ ტვირთებისა და საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო შემოწმებას, რომლის მიმართ არსებობს დენონსირება ან საფუძვლიანი ეჭვი. გასვლის ქვეყანაში შემოწმება უნდა განხორციელდეს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

(5) ხელშემკვრელი მხარეები უნდა მოერიდონ იდენტური საბაჟო პროცედურების დუბლირებას.

(6) შეთანხმების მიზნებისა და სფეროდან გამომდინარე, ხელშემკვრელმა მხარეებმა არ უნდა განახორციელონ



ამ შეთანხმებაში აღნიშნულ დებულებებთან შეუთავსებელი ცალმხრივი ოფიციალური პროცედურები.

(7) საქონლისა და საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების მიმართ გასვლის ქვეყანაში შესრულებული პროცედურები შესვლის ქვეყანაში შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც დაუსრულებელი შემდეგ შემთხვევებში.

- a. დეკლარაციის არ არსებობა;
- b. არასრული ინფორმაცია დეკლარაციაში;
- c. სატრანსპორტო საშუალების ფიზიკური შემოწმებისას გამოვლინდა საქონლის ამოღების ან შეცვლის, ლუქის ან კონტეინერის, სატვირთო განყოფილების საფარი ქსოვილის დაზიანების, ან კონტეინერზე, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებაზე ზემოქმედების დამადასტურებელი სხვა ნიშნები.

ზემოაღნიშნულ სამ შემთხვევაში საქონელი ან საავტომობილო სატრანსპორტო საშუალება ბრუნდება გასვლის ქვეყანაში, თუ ეს ფაქტი არ შეიცავს შესვლის ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულის ნიშნებს ან სამართალდარღვევას.

ზემოაღნიშნულ სამ შემთხვევაში შესვლის ქვეყანას გააჩნია უფლება ნება დართოს ქვეყანაში საქონლისა და საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების შეტანაზე სამართალდარღვევის აღკვეთის შემდეგ, ან დააბრუნოს ისინი გასვლის ქვეყანაში ამასთან ორივე შემთხვევაში შესვლის ქვეყანა ატყობინებს გასვლის ქვეყანას.

(8) შესვლის ქვეყანას უნდა გააჩნდეს საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებისა და ტვირთის რადიოაქტიური (რენტგენის, გამა გამოსხივების, სხვა შესაბამისი ტექნოლოგია) ინსპექტირების სისტემა, რომელიც, ხელშემკვრელი მხარეების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მიზანშეწონილია საბაჟო პროცედურების განსახორციელებლად.

(9) მხოლოდ ეპიდემიის რისკის და ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ახორციელებენ ხელშემკვრელი მხარეები სადებიინფექციო პროცედურებს მცენარეული ტვირთის, ცოცხალი ცხოველების, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების გადამზიდი კომერციული სახმელეთო საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, მაგრამ არ გამოიყენება იმ სახმელეთო საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, რომელიც გამოიყენება ადამიანების გადასაყვანად და სხვა ნებისმიერი საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებზე.

(10) ფიტოსანიტარიული, სანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი ხორციელდება ორივე ხელშემკვრელ მხარეში მოქმედი იმ საერთაშორისო შეთანხმებებისა და შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესაბამისად.

(11) მონაცემთა ბაზაში საპასპორტო ინფორმაციის შეყვანას ახდენს გასვლის ქვეყანა, რომელიც ელექტრონულად ეგზავნება შესვლის ქვეყანას, ამასთან თითოეული ხელშემკვრელი მხარე ახორციელებს საკუთარ კონტროლს.

(12) მგზავრები, რომელთაც არა აქვთ უფლება ან აკრძალული აქვთ ქვეყანაში შესვლა, ბრუნდებიან გასვლის ქვეყანაში.



(13) მგზავრები, რომელთაც უარი ეთქვათ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე ან მგზავრები, რომლებმაც არ დაასრულეს ვიზის მიღების მოთხოვნების შესაბამისად ვიზის მიღების პროცედურები, ბრუნდებიან გასვლის ქვეყანაში.

(14) თუ ეს არ ეწინააღმდეგება ხელშემკვრელ სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, მგზავრი, რომელიც საზღვარს კვეთს გაყალბებული საბუთებით ან შესვლის ქვეყანაში წარადგენს განსხვავებულ დოკუმენტაციას, ბრუნდება შესვლის ქვეყანაში.

ხელშემკვრელ მხარეთა ვალდებულებები

4 მუხლი – (1) სასოფლო-სამეურნეო სასაქონლო პარტიის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების თაობაზე მონაცემები და დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იქნეს ამ სფეროში ხელშემკვრელ მხარეთა შორის ძალაში შესული ურთიერთგაგების მემორანდუმების შესაბამისად.

(2) ამ შეთანხმების ფარგლებში ფორმდება ქვემოთ მითითებული ოქმები, აგრეთვე სხვა ოქმები, რომლებიც შეიძლება დაიდოს მომავალში აუცილებლობიდან გამომდინარე, ასევე შესაბამისი დამატებები, რომლებიც უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში ამ შეთანხმებასთან, და განხილული უნდა იქნეს როგორც ამ შეთანხმების ნაწილი:

- a. ოქმი ხელშემკვრელ მხარეთა უფლებამოსილ ორგანოებს შორის, მგზავრების საპასპორტო ინფორმაციის კონტროლისა და რეგისტრაციის დეტალების შესახებ, ამ შეთანხმების ვალდებულებების შესაბამისად;
- b. ოქმი ხელშემკვრელ მხარეთა უფლებამოსილ ორგანოებს შორის, მგზავრების, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის საერთაშორისო გადაადგილების შესახებ მონაცემთა ელექტრონული გაცვლის დეტალების თაობაზე, ამ შეთანხმების შესაბამისად;
- c. ოქმი ხელშემკვრელ მხარეთა უფლებამოსილ ორგანოებს შორის, “სარფი - სარფ”, “კარწახი – ჩილდირ/აკტაშ” და “ახალციხე - პოსოფი/თურქგოზუ” სახმელეთო საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მგზავრების, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის გადაადგილების პროცედურების და სამუშაო საათების შეთანხმების, ასევე თანამშრომლობის შესახებ.

(3) შეთანხმების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ხელშემკვრელი მხარეები:

- a. იმის გათვალისწინებით, რომ გასვლის ქვეყანაში შედგენილი დეკლარაცია სრულდება შემოწმებით, რომელსაც ახორციელებს შესვლის ქვეყანა, საბაჟო საქმეში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მე-3 და მე-5 მუხლების შესაბამისად, ხელშემკვრელ მხარეთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით გასვლისას საქონლისა და მგზავრების შემოწმების მეთოდების სწავლებისთვის ახორციელებენ ინფორმაციისა და კადრების გაცვლას;
- b. ერთმანეთს წარუდგენენ იმ საქონელთა ჩამონათვალს, რომელთა გატანაც აკრძალულია ან შეზღუდულია ამ შეთანხმების მე-4 მუხლის (3) (a) განსაზღვრული საკითხების დამატებით; იმის გათვალისწინებით, რომ გასვლის ქვეყანაში დეკლარაცია შედგენილი სრულდება შემოწმებით, რომელსაც ახორციელებს შესვლის ქვეყანა;
- c. ეტაპობრივად ამარტივებენ და ახდენენ საბაჟო დოკუმენტების სტანდარტიზაციას.



5 მუხლი – (1) შეთანხმების სათანადოდ განხორციელების მიზნით, ხელშემკვრელი მხარეები ქმნიან ერთობლივ კომიტეტს მე-2 მუხლის (c) პუნქტში აღნიშნულ ხელშემკვრელ მხარეთა უფლებამოსილი ორგანოების ურთიერთკოორდინაციით.

(2) ერთობლივი კომიტეტი იკრიბება მორიგეობით, ხელშემკვრელ მხარეთა ქვეყნებში, არანაკლებ ერთხელ წელიწადში ან აუცილებლობის შემთხვევაში, ან ნებისმიერი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში.

(3) ერთობლივი კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს ურთიერთთანხმობის საფუძველზე.

(4) ერთობლივი კომიტეტის თავმჯდომარეობა შეიძლება ერთობლივად, მისი შექმნის შემდეგ ერთობლივი კომიტეტი განსაზღვრავს იმ მექანიზმებსა და პროცედურებს, რომლითაც ის იხელმძღვანელებს მუშაობისას.

(5) ერთობლივ კომიტეტს შეუძლია შექმნას ქვეკომიტეტი და სამუშაო ჯგუფები, თუ ის ჩათვლის საჭიროდ დასახული ამოცანების შესრულების მხარდაჭერის მიზნით.

მოლაპარაკებები და სადავო საკითხების გადაწყვეტა

6 მუხლი – (1) თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მოლაპარაკებები მეორე ხელშემკვრელ მხარესთან ამ შეთანხმების ინტერპრეტირების, შესრულების და ცვლილების შესახებ, ან ნებისმიერი წარმოშობილი სადავო საკითხის გადაწყვეტის მიზნით. ერთობლივი კომიტეტის სხდომაზე ხელშემკვრელ მხარეებს შორის მოლაპარაკებების გამართვა იწყება წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო 20 დღის განმავლობაში, თუ სხვა გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

(2) იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი კომიტეტის სხდომაზე ვერ იქნა მიღწეული კონსენსუსი სადავო საკითხზე, მისი გადაწყვეტა ხელშემკვრელ მხარეთა შორის ხორციელდება დიპლომატიური არხების მეშვეობით.

შესწორებები

7 მუხლი – ხელშემკვრელ მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეთანხმებაში შეიძლება ნებისმიერ დროს შეტანილ იქნეს ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევა წინამდებარე შეთანხმების მე-8 (1) მუხლში განსაზღვრული სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად.



8 მუხლი – (1) წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა იმ დღეს, როდესაც მიღებული იქნება ბოლო წერილობითი შეტყობინება, რომლითაც ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს დიპლომატიური არხებით აცნობებენ, რომ დასრულებულია წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესასვლელად საჭირო ყველა აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურა.

(2) ახალციხე პოსოფი/თურგოზუ სახმელეთო საბაჟო გამშვებ პუნქტთან დაკავშირებით შეთანხმება ძალაში შევა ამ პუნქტის რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის დასრულებისთანავე.

(3) შეთანხმება ძალაში იქნება მისი ძალაში შესვლის შემდეგ 10 წლის განმავლობაში და განახლდება ავტომატურად იგივე პერიოდით, თუ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის ვადამდე ექვსი თვით ადრე არ აცნობებს მეორე მხარეს შეთანხმების შეწყვეტის შესახებ დიპლომატიური არხების საშუალებით გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

(4) შეთანხმება ძალაშია, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებებისა, ვიდრე ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე, შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის სულ მცირე ერთი წლით ადრე, დიპლომატიური არხების საშუალებით არ აცნობებს მეორე ხელშემკვრელ მხარეს.

შეთანხმება დადებულია ქვემოთ ხელმომწერთა შორის, რომელთაც გააჩნიათ სრული უფლებამოსილება თავიანთი მთავრობებისაგან.

ხელმოწერილია, 2010 წლის 8 ოქტომბერს, ორ დედნად, თითოეული ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია. წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განმარტებასთან დაკავშირებით უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

<p>საქართველოს მთავრობის სახელით</p> <p>კახა ბაინდურაშვილი</p> <p>საქართველოს ფინანსთა მინისტრი</p>	<p>თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით</p> <p>ჰაიატ იაზიჩი</p> <p>სახელმწიფო მინისტრი</p>
--	---

